სადოქტორო პროგრამის სახელწოდება: კავკასიოლოგია

პროგრამის ხელმძღვანელები: სრული პროფ. ცირა ბარამიძე, ასოც. პროფესორები მერაბ ჩუხუა, ჯონი კვიციანი.

პროგრამის საკვალიფიკაციო დახასიათება:
მიზანი: სადოქტორო პროგრამა "კავკასიოლოგია" ძირითადად ორი მიმართულების კვლევებს ისახავს მიზნად: იბერიულ-კავკასიური, პალეოკავკასიური და არეალური ლინგვისტიკა და კავკასიის ხალხთა ისტორია. პროგრამის მიზანია მოამზადოს მაღალი კვალიფიკაციის მკვლევარი კავკასიოლოგი, რომელსაც შეეძლება, როგორც იბერიულ-კავკასიურ ენათა და კავკასიაში გავრცელებულ სხვა ენათა სისტემა-სტრუქტურისა და ენის ისტორიის დამოუკიდებელი ანალიზი, აგრეთვე კონკრეტული ენისა და მის კვლევასთან დაკავშირებული პრობლემებისა და პალეოკავკასიური და არეალური ლინგვისტიკის პრობლემატიკის კვლევა. პროგრამის ფარგლებში განხორციელდება კავკასიის ხალხთა ისტორიის საკითხთა ანალიზი.

სავარაუდო საკვლევი პრობლემებია:
ა) იბერიულ-კავკასიურ (აფხაზურ-ადიღურ, ნახურ, დაღესტნურ და ქართველურ) ენათა გრამატიკული სტრუქტურისა და ძირეული ლექსიკის ისტორიულ-გენეზისური ურთიერთმიმართების პრობლემურ საკითხთა კვლევა;
ბ) კონკრეტულ ენათა ფონოლოგიური სისტემის, ფონეტიკურ პროცესთა, მორფოლოგიის, მორფონოლოგიის, სინტაქსისა და ლექსიკის აღწერითი და ისტორიულ-შედარებითი კვლევა;
გ) კონკრეტული სამწერლობო თუ უმწერლობო ენისა და მისი დიასისტემების ურთიერთმიმართების პრობლემების კვლევა;
დ) იბერიულ-კავკასიურ ენათა ოჯახის ჯგუფებს (აფხაზურ-ადიღურ-ქართველურ, ნახურ-ქართველურ, დაღესტნურ, ქართველურ, ადიღურ-ნახურ და ნახურ-დაღესტნურ) შორის ენობრივი და ურთიერთობების საკითხთა კვლევა;
ე) კავკასიაში არსებული ენობრივი სიტუაციისა და ენათა ფუნქციონირების საკითხთა კვლევა ისტორიისა და თანამედროვეობის ჭრილში;
ვ) პალეოკავკასიური და არეალური ლინგვისტიკის პრობლემათა კვლევა;
ზ) იბერიულ-კავკასიური ენობრივი მასალის ელექტრონული დამუშავება, მოდელირება; მონაცემთა ბაზის შექმნა;
თ) კავკასიური იდენტობის, კონსოლიდაციის მიმართულებების კვლევები.
ი) კვლევა რეალური სოციალური სტრუქტურების და შეგნების სტერეოტიპების რეკონსტრუქციის შესახებ კავკასიაში;
ია) კვლევა ინსტიტუტებისა და სოციალური ურთიერთობების შეცვლის შესახებ კავკასიაში მოდერნიზაციისა და გლობალიზაციის კონტექსტში.

მოსალოდნელი შედეგები:
ცოდნა და გაცნობიერება: კურსდამთავრებულს ეცოდინება ერთ-ერთი იბერიულ-კავკასიური ენა B2 დონეზე, იბერიულ-კავკასიურ ენათა ოჯახის ჯგუფებს (აფხაზურ-

ადიღურ-ქართველურ, ნახურ-ქართველურ, დაღესტნურ, ქართველურ, ადიღურ-ნახურ და ნახურ-დაღესტნურ) შორის ენობრივი ურთიერთობების საკითხები, კავკასიაში არსებული ენობრივი სიტუაციისა და ენათა ფუნქციონირების საკითხები ისტორიისა და ისტორიისა და თანამედროვეობის ჭრილში; კავკასიის ხალხთა ისტორიის საკვანძო საკითხები, გაცნობიერებული ექნება მთელი სისავსით სამეცნიერო ინფორმაცია კავკასიაში არსებული ინსტიტუტებისა და სოციალური ურთიერთობების შესახებ კავკასიაში მოდერნიზაციისა და გლობალიზაციის კონტექსტში.

პრაქტიკული უნარები:

დოქტორანტურის დასრულების შემდეგ კურსდამთავრებული შესძლებს იბერიულ-კავკასიურ ენათა სისტემა-სტუქტურის, პალეოკავკასიური და არეალური ლინგვისტიკის პრობლემათა კვლევას. კავკასიაში არსებული ენობრივი სიტუაციისა და ენათა ფუნქციონირების საკითხთა კვლევას ისტორიისა და ისტორიისა და თანამედროვეობის ჭრილში; შესაბამისი კვალიფიკაციით სალექციო კურსების წაკითხვას. კავკასიის ხალხთა ისტორიის პრობლემური საკითხების დამოუკიდებელი ანალიზს, საკვლევი მასალის დამოუკიდებლად მოპოვებას, სისტემატიზებას და მეთოდოლოგიურად გამართულ ანალიზს.

ტრანსფერული უნარები:

კოგნიტური უნარები: ანალიზისა და სინთეზის, დისკუსიაში მონაწილეობის, აუდიტორიის კითხვებზე პასუხის გაცემის, კვლევის თანამედროვე მეთოდების გამოყენებით სამეცნიერო ნაშრომის წერის უნარი;

ტექნოლოგიური უნარები: ინტერნეტ რესურსების გამოყენება, პრეზენტაციის მომზადება; ლინგვისტური უნარები: ზეპირი და წერილობითი კომუნიკაცია მშობლიურ, კავკასიურ ენებზე; ლიტერატურის კითხვა და თარგმნა; სისტემური უნარები; სამეცნიერო კვლევის, ლექცია-სემინარების ჩატარების უნარი.

დარგობრივი კვალიფიკაცია:

მკვლევარი ლინგვისტი-კავკასიოლოგი, მკვლევარი ისტორიკოსი-კავკასიოლოგი, კავკასიის ენებისა და ისტორიის მასწავლებელი.

დასაქმების სფეროები: კურსდამთავრებული შეიძლება დასაქმდეს შესაბამის სამეცნიერო-კვლევით და სასწავლო დაწესებულებებში, სამთავრობო და არასამთავრობო სექტორში.

პროგრამაზე მიღების წინაპირობები:

1. ჰუმანიტარულ მეცნიერებათა დარგის მაგისტრის აკადემიური ხარისხის მქონე პირი.
2. სამუშაო გამოცდილების ქონა არ არის სავალდებულო;
3. უცხო (ინგლისური,გერმანული, ფრანგული,რუსული) ენის ცოდნა მინიმუმ B-2 დონეზე. შესაძლებელია შესაბამისი სერტიფიკატის წარმოდგენაც.

სასწავლო კომპონენტი:

#	საგნის დასახელება	საგანთა სტატუსი	კრედიტე-ბის საერთო რაოდენო-ბა

1.	სწავლების თანამედროვე მეთოდები	სავალდებულო	5
2.	დოქტორანტის I კოლოკვიუმი	სავალდებულო	5
3.	დოქტორანტის II კოლოკვიუმი	სავალდებულო	5
4.	პროფესორის ასისტენტობა	სავალდებულო	5-10
5.	მეცნიერების მენეჯმენტი	სავალდებულო	5
6.	საუნივერსიტეტო სასწავლო კურსები	არჩევითი	5
7.	პრაქტიკა (კონკრეტული ენისა)	არჩევითი	5-10
8.	კვლევის მეთოდები	არჩევითი	5
9.	ინფორმაციულ-საკომუნიკაციო ტექნოლოგიები (კვლევა სწავლებაში და ელექტრონული კურსების შექმნა	არჩევითი	5
10.	სპეციფიკური დარგობრივი კურსები	არჩევითი	10
11.	უცხოეთის აკრედიტებულ საგანმანათლებლო დაწესებულებაში გავლილი სასწავლო კურსი	არჩევითი	5
12.	სადოქტორო ნაშრომი	სავალდებულო	120
		სულ	180

სამეცნიერო კვლევის მატერიალურ-ტექნიკური ბაზა:
კავკასიოლოგიის დოქტორანტურისათვის განკუთვნილია ბიბლიოთეკები და კომპიუტერები (თსუ 104ა აუდიტორია და ი. ჭავჭავაძის #19-ში მდებარე არნ. ჩიქობავას კაბინეტ-მუზეუმი)

დოქტორანტთა რაოდენობა: ერთიდან თერთმეტ დოქტორანტამდე.

პროგრამაში მონაწილე პროფესორები:

1. ცირა ბარამიძე - სრული პროფესორი
2. ჯონი კვიციანი - ასოცირებული პროფესორი
3. ნანა მაჭავარიანი - ასოცირებული პროფესორი
4. მერაბ ჩუხუა - ასოცირებული პროფესორი

5. შალვა გაბისკირია - მოწვეული პროფესორი
6. როსტომ ფარეულიძე - მოწვეული პროფესორი
7. მიხეილ ქურდიანი - ასოცირებული პროფესორი

კავკასიოლოგიის სადოქტორო პროგრამის უცხოელ ექსპერტთა ნუსხა:

1. აჩერდან აბრეჯი (აბრეგოვი) (მაიკოპი)
2. სერგეი პაზოვი (ჩერკესკი)
3. ზულაიხათ მალაევა (მაჰაჩყალა)
4. ბორის ათაევი (მაჰაჩყალა)
5. ხაზეშა თაოვი (ნალჩიკი)
6. ასლან ბოროვი (ნალჩიკი)
7. მაგომედ ამაევი (მაჰაჩყალა)
8. ვლადიმერ რიაბცევი(როსტოვი/დონი)
9. იური ლანდერი (მოსკოვი)
10. ალისა ჰარისი (ნეშვილი)
11. კარლ ჰორს შმიდტი (ბონი)
12. იასუჰირო კოჯიმა (ტოკიო)
13. აისა ხალიდოვი (გროზნო)
14. სულთან პატიევი (მაგასი)
15. ისა აბდულაევი (მაჰაჩყალა)
16. ბერნარ უტიე (პარიზი)
17. ირადა ჰუსეინოვა (ბაქო)
18. ანასტასია განიჩი (მოსკოვი)
19. ალექსანდრა როგანი (რომი)